



# WWW.MY.GOV.GE

## ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ფ უ რ ც ე ლ ი

გამოშვება #37      სექტემბერი, 2014

### გამოშვებაში წაიკითხავთ

**CYBER-EXE**      1  
საქართველო 2014

**ტრენინგები**      2  
**NATO-ს**  
პროგრამის -  
მეცნიერება  
მშვიდობისა და  
უსაფრთხოების  
ვის ფარგლებში

**GITI 2014**      3


### CYBER-EXE საქართველო 2014 - კიბერსავარჯიშო საჯარო და კერძო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის



საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიაში“ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტომ, საქართველოს პრემიერ-მინისტრის სათათბირო ორგანოს - სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მხარდაჭერით, პირველად საქართველოში გამართა კიბერუსაფრთხოების სავარჯიშოები/ შეჯიბრება - CYBER-EXE საქართველო 2014.

აღნიშნული ღონისძიების მიზანია საჯარო და კომერციული ორგანიზაციების ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტების მომზადება კიბერუსაფრთხოების კრიზისული სიტუაციებისთვის და მათ შორის ურთიერთთანამშრომლობის მექანიზმების ჩამოყალიბება.

“კიბერუსაფრთხოება 21-ე საუკუნის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. საქართველოს სახელმწიფო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქვეყნის კიბერუსაფრთხოების დონის ამაღლებას. ამ მიმართულებით, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ძალისხმევით არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა და ამჟამადც ხორციელდება. კიბერუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია შესაბამისი უნარ-ჩვევებით აღჭურვილი კადრების არსებობა როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ორგანიზაციებში. ამ მიმართულებით დღევანდელი ღონისძიება განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რადგან პირველად საქართველოში, სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო სტრუქტურის შესაბამისი პროფილის თანამშრომლებს საშუალება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ რეალურ სავარჯიშოებში და გამოსცადონ საკუთარი თავი იმიტირებული კიბერშეტევების გაუვნებელყოფის პროცესში.”  
- აღნიშნა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ, **ალექსანდრე ბურჭულაძემ** (გაგრძელება გვ. 2).



[www.justice.gov.ge](http://www.justice.gov.ge)



[www.house.gov.ge](http://www.house.gov.ge)



[www.my.gov.ge](http://www.my.gov.ge)



[www.sda.gov.ge](http://www.sda.gov.ge)



[www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge)



[www.archives.gov.ge](http://www.archives.gov.ge)



[www.nbe.gov.ge](http://www.nbe.gov.ge)



[www.notary.ge](http://www.notary.ge)



[www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)

საპარტნიორო  
საკანონმდებლო  
მაცნე

[www.eAuction.ge](http://www.eAuction.ge)  
ქვეყნის ელექტრონული აუქციონი

[www.eauction.ge](http://www.eauction.ge)



[www.tbilisi.gov.ge](http://www.tbilisi.gov.ge)

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 1)

აღნიშნული სავარჯიშო შეჯიბრის ხასიათს ატარებს, რომლის დროსაც თითოეული მონაწილე ორგანიზაციის გუნდი წინასწარ მომზადებული კიბერშეტევის პირობებში განახორციელებს ვირტუალური სივრცის დაცვის ოპერაციას. სავარჯიშოს შედეგად გაანალიზდება თითოეული გუნდის სუსტი და ძლიერი მხარეები და გუნდების გაძლიერების მიზნით მომზადდება რეკომენდაციები.

მსგავი ფორმატი მსოფლიოში მიღებული პრაქტიკაა და მას “წითელი და ლურჯი” ჯგუფების სავარჯიშოებს უწოდებენ.

„მოხარულნი ვართ, რომ აღნიშნულ ღონისძიებას ვუწევთ ორგანიზებას. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფის CERT.GOV.GE-ს გარდა, ამ პროცესში აქტიურად იყო ჩართული ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში და პოლონეთის კიბერუსაფრთხოების ფონდი. ასევე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს პრემიერ-მინისტრის სათათბირო ორგანოს – სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს ღონისძიების მხარდაჭერისთვის.“ - განაცხადა **ირაკლი გვენეტაძემ**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარემ.

ღონისძიებაში 16 გუნდმა მიიღებო მონაწილეობა. თითოეული გუნდი წარმოდგენილი იყო 2-3 წევრით. მონაწილეები წარმოდგენდნენ როგორც საჯარო, ისე კერძო სტრუქტურების შესაბამისი მიმართულების სპეციალისტებს. დაგეგმილია, რომ CYBER-EXE საქართველო ტრადიციულ ღონისძიებად იქცეს და კიდევ უფრო მეტი წვლილი შეიტანოს ქვეყნის კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების განვითარების საქმეში.

## მონაცემთა გაცვლის სააგენტოს წარმომადგენლებმა ნატოს პროგრამის - მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის ფარგლებში ტრენინგების მორიგი ციკლი ჩაატარეს



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტო წარმატებით იმკვიდრებს ადგილს საერთაშორისო ასპარეზზე. სააგენტოს მიერ ელექტრონული მმართველობის, მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურისა და ინფორმაციული უსაფრთხოების

მიმართულებით ჩატარებულმა სამუშაოებმა და არაერთმა წარმატებით განხორციელებულმა პროექტმა სააგენტოს ექსპერტებს უკვე მოუტანა საერთაშორისო აღიარება.

სხვა საერთაშორისო პარტნიორებს შორის მონაცემთა გაცვლის სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან (NATO). ამ ორგანიზაციის პროგრამის - მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის ფარგლებში გამართულ ტრენინგებში მიწვეული ექსპერტებისა და ტრენინგების სტატუსით სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამმართველოს წარმომადგენლები 2012 წლიდან მონაწილეობენ.

ინფორმაციული უსაფრთხოების შესავალი, კიბერ თავდაცვის მექანიზმები, ვებგვერდებისა და პორტალების უსაფრთხოება, ქსელის მონიტორინგი და დაცვა, კრიპტოგრაფია, კიბერ ინციდენტების აღმოჩენა, რეგისტრაცია, ანალიზი და პრევენციის ზომები - ეს ის საკითხებია, რომლებშიც მონაცემთა გაცვლის სააგენტოს წარმომადგენლებს შესაბამისი მაღალი კვალიფიკაცია გააჩნიათ და ცოდნასა და გამოცდილებას ნატოს პროგრამის ფარგლებში უცხო ქვეყნების წარმომადგენლებს უზიარებენ.

სააგენტოს წარმომადგენლებმა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში თურქეთის დედაქალაქ ანკარაში, შუა აღმოსავლეთის ტექნიკური უნივერსიტეტის (METU) ინფორმატიკის ინსტიტუტში უკვე ჩაატარეს 4 ტრენინგი ავღანელი, მაკედონიელი, მონტენეგროელი და მოლდოველი სისტემური და ქსელის ადმინისტრატორებისთვის (გაგრძელება გვ. 3).

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 2)

2014 წლის 10-12 სექტემბერს სააგენტოს წარმადგენლები კვლავ მიიწვიეს ტრენინგების ჩასატარებლად. ამჯერად სწავლება შესაბამისი პროფილის აზერბაიჯანელ სპეციალისტებს ჩაუტარდათ, სასწავლო კურსის თემა კი ინფორმაციული უსაფრთხოების გარდა, უკვე კიბერ უსაფრთხოების საკითხებსაც მოიცავდა.

„21-ე საუკუნეში კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა და ეს გამოწვევა დგას პრაქტიკულად ნებისმიერი ქვეყნის წინაშე. მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მუშაობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა ინფორმაციული და კიბერ უსაფრთხოება. ჩვენს ორგანიზაციაში არსებული სტრუქტურა CERT.GOV.GE წარმოადგენს ქვეყნის მასშტაბით ინფორმაციულ და კიბერ უსაფრთხოებაზე მომუშავე მთავარ ორგანოს. შესაბამისად, ჩვენს პერსონალს აქვს ის კვალიფიკაცია, ცოდნა, გამოცდილება და საერთაშორისო აღიარება, რომელიც საჭიროა თანამედროვე გამოწვევებთან გასამკლავებლად.“ - **ირაკლი ლომიძე**, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამმართველოს უფროსი.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს პერმანენტული მონაწილეობა ნატოს პროგრამის - მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში განპირობებულია საქართველოს, როგორც ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებში წარმატებული გამოცდილების მქონე ქვეყნის რეპუტაციით.

**GITI 2014**



**7<sup>th</sup> Regional**

## **Georgian ICT Development and Cyber Security Event**

**GITI 2014**



### **Organizers:**

ICT Business Council of Georgia  
LEPL Data Exchange Agency of Ministry of Justice of Georgia

### **With the support of:**

November 6-7, 2014  
Tbilisi, Georgia

იხილეთ ჩვენი საიტები  
[www.dea.gov.ge](http://www.dea.gov.ge); [www.my.gov.ge](http://www.my.gov.ge)

მონაცემთა გაცვლის  
სააგენტო

წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2  
თბილისი 0102, საქართველო  
ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 40  
ელ.ფოსტა: [info@dea.gov.ge](mailto:info@dea.gov.ge)

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის  
სააგენტო



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გასურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: [info@dea.gov.ge](mailto:info@dea.gov.ge) და სათაურში მიუთითოთ **“Subscribe”** ან დაარეგისტრირდეთ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: [www.e-government.ge](http://www.e-government.ge)

თუ არ გასურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: [info@dea.gov.ge](mailto:info@dea.gov.ge) და სათაურში მიუთითოთ **“Unsubscribe”**.